



ხელის მოწერა და დასაბუთი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში...

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კა, უკანასკნელზე—10 კა, საბოლოო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან.,

4 საათის შემდეგ (მიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) და ელირება 5 მანეთი.

დღევანდელ ნომერში 6 გვერდია

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ წლის დამლევიმდე ღირს 5 მანეთი. შეიძლება ფასის გადახდა ანაზღაურებად: პირველ ოქტომბრამდე 3 მანეთი და შემდეგ ორი მანეთი.

თბილისი, 7 ივნისი.

ერთხელ კიდევ

როგორც ვკითხვეს მოხსენება, პეტროგრადში დაარსდა „რუსეთის განაპირა ქვეყნების დამხმარე კომიტეტი“.

საქართველო და მორიგი საქმე

4 ივნისს, სათავად-აზნაურო კრებაზე, საადგილ-მამულო კომისიის ანგარიშის გარეშის დროს მ. ვ. მაჩაბელმა ფრიად საგულისხმოდ წინადადება შემოიტანა.

დადება და დაავალა საადგილ-მამულო კომისიის დაუყოვნებლივ შეეღვეს საამისო მუშაობას.

ომის დღიურები

მიმოხილვა

კონკო-ლიბების ხაზზე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა, თუმცა ბრძოლა არ ჩანს დასრულებულად.

თაოდ აცხადებს, რომ ჩვენ დაწვრილებით აღვნიშნავთ ხოლმე ჩვენს მოქმედებას და რომ ჩვენს იქით გაგრძელებული სწრაფი, ვითომც სანდო წყაროებიდან ამოგოლოთ იგი, სასებით სიმართლეს მოკლებულია.

თბილისის სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 9 ივნისს, აბაშიძის დაბადების დღეს, გაიმართება

საღამო აკაკისა,

რომლის წმინდა შემოსავალი გადაიღება საქართველოს საინტელიტუალური და საეთნო-გრაფიო საზოგადოებასთან არსებულ აბაშიძის სახელობის ხეივანულ სკოლის შენობაში.

I. შესავალ სიტყვას

წარმოსთქვამს შალვა ვლ. ალექსი მესხიშვილი.

II. ნათელა

ერთ მოქმედებად

დაიდგება ბ-ნ ა. წუწუნავას ხელმძღვანელობით: ქ-ნ ე. ამირაჯიბისა, ა. იმედაშვილისა და თავ. ნ. ერისთავის მონაწილეობით; მომღერალთა გუნდი სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით შესრულდება დასავლეთ-საქართველოს სიმღერებს.

III. საპოეტო განყოფილება

კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით. მონაწილეობენ: ქ-ნი მ. მ. იმ. სარაჯიშვილი, ტ. მ. შავერიაძე, ა. კახაძე და ქუჩუბერიძე. აგრეთვე ძარბაზოები გუნდი სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით.

IV. სოციალური სურათები

ა. წუწუნავას ხელმძღვანელობით: ა) „მე-ჯაბაშვილი ამირანი“, ბ) „განთიადი“. დასასრულ „აბოთაშვილი“.

ბილეთები იყიდება ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში (სახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის სახლი), მკობაძის გამგე თავ. ივ. ავალიშვილთან, დილით 10-დან 2 საათამდე და საღამოთი 5-დან 7 ს. ბილეთები არაფასად იყიდება. დასაწყისი საღამოს 8 1/2 საათზე.

სახალხო სახლი

მთავრდება 10 ივნისს

ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება ალექსანდრე დიუმას ცნობილი პიესა

ედმონდო კინი

სალახანა გენიოსი

კომედია 5 მოქმედ. და 6 სურათად, გადმოთარგმნილი ვლ. გუნიას მიერ

ის პიესა სრულიად ძარბაზო მანუა პირველად იღვამის,

მთავარ როლებს შესრულებენ ტასო აბაშიძე, ქილარჯიშვილი, ასათიანი, გენია, მგალობლიშვილი და რომანიშვილისა.

გაგვიღებინ ფასი ორი შაურიდან მანათამდე.

დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ ხათზე. რეჟის. ვ. გუნია. გაგე 3. ფრანგიშვილი

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლი მიწვევაც. მისამართი: კობინის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. (10-უ-6)

დოქტორი მელიქიანი

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

ფურცლი ექიმი ტფ. კაღატა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე

საღ. 5-6 საათამდე, კვირა დღის გარდა.

ოღდას ქუჩა, სახლი მელიქიანისა

ქალის ექიმი ქალი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9-2 ს. და საღ. 5-7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კიროპინი შესახვევის 21.

მ. გ. რ. ში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შედის აფთიაქთან

მ. ბ. ლი.


დეკემბერი

თბილისი, 5 ივნისი. კავსიის ჯარის მთავარი შტაბის ოფიციალური ცნობა. 4 ივნისს ზღვის ნაპირს ჩვეულებრივი სროლა იყო. სევირიის ღელეში ოსმალი ევანდენ შეეტიათ რუსებისთვის, მაგრამ დროზე შეაჩერეს. სხვაფრთვ ყოველგან შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა.

ომის გამოთქმანი ყოველდღიურ ცხოვრებაში



პირველი მობილიზაცია პირველი იერიში ბრძოლა დიპლომატიური მომზადობიანად ბანაკში



ჩვენ ურთი უფრო ადრე ჩავსულიყავით...

გ ა ა ს ი

VI

ნავსი გატყდა.

ქიყყელასავით გაგრძელდა თავდაზნაურთა კრებანი. ორი კვირა სრულდება რაც იკრიბება ხან ყოველ დღე, ხან დღე-გამოშვებით, კეთილშობილთა კრებული. ზეპირად და ბეზბეზ ხან ცხარედ, ხან დუნედ, მაგრამ მინც ბოლოში გასვლა დიდად გაუჭირდათ.

ეს არც საკვირველია, რადგან არა ვეპქს შეზღუდვებული მტკიცე გეგმა ცხოვრებისა. ხელ რომ შეხმა დაიქვეს უცხად და განრისხებულმა ცამ სტყევა დავიშინოს, გონებას დავკარგავთ, ავირევით და ცხვრის ფარასავით ბლავილს მოვრთავთ. ვაი თუ მაშინ თავსაფარი სოროც ვეღარ ვიპოვნეთ.

უგეგმო, უსისტემო ცხოვრებამ ბევრი „ლაპარაკი“ იცის. ლაპარაკით მინც მოვიხებთ ვულს. ვიყვენთ ცოცხალნი და მკვდარსა ვუმზავსნოთ—ფიზიკურად შეუძლებელია.

ასეთია საერთო ხასიათი ჩვენის კრებებისა, სულ ერთია, კრება იგი კეთილშობილთა, თუ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, სადაც „დემოსი“ ძალზე სჭარბობს ყბადალბულთა „ფეოდალს“. სოფლისკენ თუ იზამთ პირს, უარესობას იხილავთ. აქ, ქალაქებში, თუ მარტო ლაპარაკია, იქ, სოფლად, მარტო ყაყანი ყრილობაზე. მოქანტული ყაყანი დაიშლება სოფელი და ბუზღუნით წვა სახლში, ხოლო საქმე ან გაუკეთებელი რჩება, ან ისე აურ-დაურევენ, რომ სოლომონ ბძენიც ვეღარ გამოასწორებებს.

ეს ასეა, მაგრამ კეთილშობილთა წრეგანდელ კრებებში მინც კმაყოფილი ვართ. დაუსრულებელ კრებათა რიგში ერთი კრება იყო ისეთი, რომელიც, უეჭველია, დიდ ყვალს დაჩანევს ჩვენს უფერულ ეროვნულ ცხოვრებას.

მოგვხსენებთ, რომ ქართლ-კახეთის თავდაზნაურობა აუარებელ ფულსა მხარჯავს სწავლა-განათლებლაზე. სამწუხაროდ ამ უმაგალითო გულუხვობას ჯეროვანი ნაყოფი არ მოაქვს და ჩვენდა საავალადოდ მადლი ხშირად მატლად იქცევა ხოლმე. ჩვენს ბედსა და ყოფაში კლასიკური სისტემა განათლებისა, იქნებ ჩვენდა უნებურადაც, გვზნამავს და გადაშენების გზაზე გვაყენებს.

საჭიროა მედგარი ბრძოლა, რომ ეს მავალაჯუნა თავიდან მოვიშოროთ, საჭიროა განჩენა ეროვნულის სკოლისა, იმ სკოლისა, სადაც ბავშვის გონება, ნიჭი, აზრიანობა ვარდით გაიშლება, აყვავდება.

დღემდის სახალხო სკოლას ჩვენში მარტოდ-მარტო ერთი მოზანი ჰქონდა ნიშანში ამოღებული, რაც შეიძლება მალე ესწავლებინა არა რუსისთვის სახელმწიფო ენა. მთელი უნარი ოსტატისა ამ საგანს უნდებოდა. ამ ეამად გარემოება თავსაჩინოდ იცვლება. კერძო კაცს უფლება ეძლევა კანონით დააარსოს სკოლა თვისის ხარჯით და ის ენა გაამეფოს სკოლაში, რომელსაც მოსურვებს. მაგრამ თუ ასეთს სკოლას ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი და განსწავლული ოსტატი არა ჰყავს, ფუჭი იქნება ყოველი შრომა. ვერც ჩვენი საეყო და ქალთა გიმნაზიები, ვერც ჩვენი სასულიერო და საისტატო სემინარიები და ვერც ქალთა საეპარქიო სასწავლებელნი ასეთს ოსტატს ვერ მოგვცემს. აქედან ცხადზე უცხადესია, რომ ვისმეს უნდა ეფიქრნა ასეთი საისტატო სემინარიის გაჩენისათვის.

ქირსუფულობა იქისრა „განათლების“ საზოგადოებამ. წრეგანდელ თავდაზნაურთა კრებას მოხსენდა ამ საზოგადოების აზრი—გესურს გამოვიყენოთ პირ-

ველ ივლისის კანონი და დავაარსოთ ქალთა საისტატო სემინარია და ფულით ხელი გავვიმართო.

კრებამ დიდის ყურადღებით მოისმინა ეს მარტივი თხოვნა, იკამათა ცხარედ, გატაცებით და ისეთის ეროვნულის აღტაცებით, რომ გულს ეფონა. მდღობა ღმერთს, ვამბობდი გულში, ნავსი გატყდა, ქართველობა ახალ გზას ირჩევს სწავლა-განათლებლაში, რომელიც, უმჯობესია, სამშვიდობო გავიყვანს, და ბედნიერ მომავალს დაგვიმკვიდრებს. ქვერეობოლო წუწუნიც გავიგონეთ, —ჯერ ერთი საქმე არ დავვიმთავრებია და ავერ მეორე საქმესაც ვკიდებთ ხელსაო, ნუ, ბატონებო, ნუ ინებებთ ამასაო. კრებამ არ შეისმინა სამელოვიარო წუწუნი. იგი ნაშთია წარსულისა და წარსულისათვის დაგვილოცინა.

ერთმა ორატორმა მოიგონა პოლონეთი და სალატიმო. პირველი უკვე შეუდგა სკოლების მოწყობას პირველ ივლისის (1914 წ.) კანონის საფუძველზე, ხოლო ლატიშებს დაუარსებიათ 14 სკოლა ახალის სისტემისა.

ამნაირად, რუსეთის დიდ იმპერიაში იწყობა ახალი ხანა და დღეიდან ჩვენც გაბედულად ვხდებით მომქმენდი და მოზიარენი ახალის ეპოქისა.

კრებამ ერთხმად დაადგინა, მიეცეს ყოველწლიურად „განათლების“ საზოგადოებას სამას-სამასი თუმანი ქალთა საისტატო სემინარიის საჭიროებისათვის. ხუთასი თუმანი რომ ეთხოვნათ, ამასაც არ დაიხარებდა კრება, ისე იყო მოხიბლული და აღფრთოვანებული. არა უჭირს რა, ხუთასები მერმე იქნება. ძნელი იყო ნავსის გატყვა, თორემ შემდეგში საქმე ნივ-წყალივით წვა.

სამწუხაროდ გრ. ს. რეხილაძეს არ დაეცალეს ეთქვა თვისი სიტყვით. ბოლოს სთხოვა კრებამ—ბრძანეთ თქვენი სატყველო, მაგრამ ორატორმა აღარ ინება.

ჩვენ ვიცით, რაც უნდა ეთქვა ბ. რეხილაძეს. ჩვენს მოუწყობელს სოფელს უფრო შეეფერება დღეს-დღეობით ოსტატი მამა-კაცი. სინამდვილემ გვიჩვენა, რომ ზოგან ოსტატ-ქალს ვერა ვგზავნიან. ხშირად ყოფნა სოფლად მარტოდ-მარტო უნდებოდა ახალგაზდა ქალს. ამის გამო საჭიროა ავრედვე მამა-კაცთა საისტატო სემინარია.

შემდეგში ისეც აღსრულდება. თავდაზნაურთა კრებული ამის საღსარსაც გამოსძენის. ქართულ კლასიკურ გიმნაზიის შენობისთვის იპოვნა თითქმის ოცი-ათასი თუმანი და როგორ გაუძნელდებდათასი თუმნის შოვნა მამა-კაცთა საისტატო სემინარიისთვის. ეროვნულ ნიადაგზე აღზრდილი ოსტატი, ქალია იგი თუ კაცი, ცის მანასავით მოველინება ჩვენს სოფელს და ქალაქს.

ახალი ამბავი

დეკემბრის იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავარის ელისაბედ მავრილის ასულისადმი.

მის იმპერატორებითი უმაღლესობას დიდ მთავარს ელისაბედ მავრილის ასულს. პავლოვსკი. ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სახელით უქვეშევრდომილესად მოიხსენებია თქვენს იმპერატორებითი უმაღლესობისა და მთელი თქვენი უავგუსტოცი ოჯახისათვის ღრმა მწუხარების გრძობა, მისი იმპერატორებითი უმაღლესობის დიდი მთავარის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის გარდაცვალების გამო. ვევედრებით უფალს, განუსვენოს სულსა ღვთივ გარდაცვალებულის, მეცნიერების და განათლების უავგუსტოცი მთარევის. ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზო-

გადოების თავმჯდომარე, სასახლის კამერუნტერი თავადი ჩოლოყაშვილი.

ამის პასუხად თავად ჩოლოყაშვილს მოუვიდა შემდეგი დეკრეტი:

თბილისი, ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების თავმჯდომარე ჩოლოყაშვილს.

გულით და სულით გამდლობთ თქვენს საზოგადოების წევრთ ღრმა მწუხარებაში თანაგრძობის განთქმისათვის.

ელისაბედი.

ქალაქის სატრამვაიო კომისიას, ხმოსან ვესელოვზოროვის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა 5 ივნისს. თავმჯდომარემ კრებას გრცელი მოხსენება წარუდგინა ტრამვაის ნაკლულეგანების რა შესახებ. ყველა ის წევრები, რომელიც ტრამვაის აკლია, საზღვარ-გარეთიდან მოქმედობდა, მაგრამ ამ ეამად იქიდან მოტანის შესახებ ლაპარაკი ზედ მეტია; რუსეთის ქარხნებს კი, რომელთაც მათი გაკეთება შეუწყვეთეს, ვერა გაუკეთებია რა ჯერ-ჯერობით. კომისიის წევრებმა ბევრი ილაპარაკეს. ბოლოს კომისია იმ გადაწყვეტილებას დაადგა, რომ განსაკუთრებული კომისია იქმნას არჩეული სპეციალისტთა მონაწილეობით, რომელმაც უნდა გამოარკვიოს—სად შეიძლება საჭირო ნივთების შოვნა, რათა ქალაქი უტრამვაიოდ არ დარჩეს.

მეპურეთა დაბატმრება. იმ ორას ქართველ მეპურეთა გარდა, რომელნიც თბილისის გუბერნატორმა ათ-ათი თუმნით დააჯარიმა, კიდევ დაჯარიმებულ იქნა ოცა კაცი. რამდენიმე კაცმა ჯარიმა უკვე გადაიხადა, 50 კაცი, რომელთაც ჯარიმა ვერ გადაიხადეს, დააბატმრეს, ზოგი იძულებული გახდა თორემ დაეკეტნა და ვაჭრობისთვის თავი დაენებებინა.

პანაშვიდი. განსვენებულ დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინის ძის სულის მოსახსენებლად თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობამ 6 ივნისს, პანაშვიდი გადაახდევინა თავის შენობის დარბაზში, სასახლის ქუჩაზე. პანაშვიდი შესრულა ქვაშევისის ტაძრის დეკანოზმა კ. ცინცაძემ. ჰვალოდდა ქართველ მელოვლთა გუნდი, ზ. ჩხიკვაძის ლობტარობით. პანაშვიდს დაესწრნენ თავდაზნაურთა მარშლები, დეპუტატები, თავდაზნაურობა და მრავალი ხალხი.

მარშლებისათვის ფულის გადადება. 5 ივნისს თბილისის გუბერნიის თავდაზნაურთა კრებამ დაადგინა: 1) გუბერნიის მარშალს ეძლიოს თეორად 500 მანეთი; 2) თითოეულ მარშალს მარშალის საკანცელარო ხარჯის დასაფარავად მიეცეს წლიურად 1,200 მან., ნაკვალად წინანდელ 600 მანეთისა და 3) მარშალის მარშლებისათვის საზოგადო საქმეებზე სარევიზოდ ხარჯების რაოდენობის გამოარკვევა მიენდოს ცალკე კომისიას.

ვაჭა-ფშაველას, რომელიც პლენურიტი არის ავად, მარჯვენა მხარეს ოპერაცია გაუკეთა ცნობილმა დოსტაქარმა გრიგოლ მუხამემ. ოპერაცია მშვენიერად ჩაიარა; პოეტი კარგად ჰგრძნობს თავს.

არჩევნები. გუშინ, ნაშუადღევს ორ საათზე, თბილისის გუბერნიის თავდაზნაურობამ შეუდგა მარშის მარშლებისა, მათი თანამეშვეებისა, დეპუტატების და სთავად-აზნაურო ბანკისათვის 105 რწმუნებულის არჩევას. არჩევნების ანგარიში შემდეგ ნომერში დაიბეჭდებოდა.

შრომის ბირთა. თბილ. ქალ. თვითმართველობას საფინანსო და სარევიზო კომისიამ მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა განხილა. სხვათა შორის ბირთის შესახებ ის აზრი გამოთქვეს, რომ

მიუხედავად მისი ნაკლულეგანებისა, ისე უცვლელად დარჩებოა.

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 5 ივნისს დაამტკიცა მიმდინარე წლის შემოსავალ-გასავლის განხილვა და დამტკიცება. მთელი ჯამი საზოგადოებისა და მის დაწესებულებათა შემოსავალ-გასავალი უდრის 60,000 მანეთს.

პეტროგრადის სამეურნეო კურსების უფლების მინიჭება. ამ რამდენიმე ხნის წინად პეტროგრადის უმაღლეს სამეურნეო კურსებზე საადგილმამულო და მიწათმოქმედების მთავარ გამგებობის წინაშე უშეადგომლობა იქმნა ადრული, რათა ამ კურსებს უფლება გაუფართოვდეს და იქ ნასწავლულს მიეცეს „განსწავლულ აგრონომის“ სახელი. მიწათმოქმედების მთავარმა გამგემ ეს უშეადგომლობა კომისიას გადასცა და დაავალა კურსებზე სწავლის ვითარებას განსწავლოდა. კომისიამ გაიკეთა კურსების ლაბორატორიები და აღიარა კურსების გარდაქმნის საჭიროება უმაღლეს სასწავლებლად. ახალის კანონით ამ სასწავლებელში ორივე სესის პირნი მიიღებიათ განათლების ცენზით სტუდენტებად და აგრეთვე მიიღებიათ თავისუფალ მსმენლებებად. სტუდენტებს ჯარში გაწვევის შედეგით უფლება აქვთ. კურსების ვითარებისას სტუდენტებს სახელმწიფო კომისია გამოსცდის და იგი მისცემს განათლებულ აგრონომის დიპლომს.

აკაის საღამო. 9 ივნისს სახაზინო თეატრში აკაის საღამო გაიმართება. ეს დღე აკაის დაბადების დღე არის. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ დაადგინა ყოველ წლივ 9 ივნისი აკაის საღმრესაწაულო დღედ დაკანონდეს. ამ დღეს, ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში უნდა მოეწყოს ხოლმე აკაის დილა-საღამოები.

აქარლების სახარგებლოდ. ქართ. საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილებამ გახსნა საწყობი, საიდანაც აქარლებს ეძლევათ მაშინები, სამუშაო იარაღი და სხვა ავეჯეულობა. 3 ვაგონი სიმინდი უკვე დარაგდა; განყოფილებას კიდევ აქვს ნაყიდი 5 ვაგონი რომელსაც ამ დღეებში მოეღიან. სიმინდის დარიგებას, სხვა დაბრკოლებათა შორის ისიც უშლის ხელს, რომ უსაქონლობის გამო სოფლები იძულებულნი არიან სიმინდი ბათომიდან ზურგიით ზილონ.

ყალბი ღვინის წინააღმდეგ. თბილისის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტმა ყალბი ღვინის გაკეთება-გავრცელების შეთვალურედ დაიწინა: კახეთში (თელავ-სონღლის მარშები, ზაქათალის ოლქი და თიანეთის მარშის ორი სოფელი—ახმეტა და მატანი) ე. ვ. მჭედლიშვილი და ზ. ბ. პატაშვილი; ბორჩალოსა და თბილისის მარშებში (გარდა იმ სოფლებისა, რომელნიც თბილისიდან მცხეთამდე) ა. კ. ვარგარეთელი; დუშეთისა, თიანეთისა და თბილისის მარშებში (გარდა იმ სოფლებისა, რომლებიც სხვა რაიონში შედიან) ა. პ. ცვაგარელი; გორის მარშში პ. ა. მღებრივი; ახალციხისა და ახალქალაქის მარშებში ი. ლ. ჯიჯავაძე; თბილისში ტკერის მარცხენა მხარეს კ. ე. გაბიჩვაძე და ტკერის მარჯვენა მხარეს გ. გ. ხარაზიანი.

კრება. დღეს, დილის 12 საათზე, ქართულ გიმნაზიაში უნდა შესდგეს ღარიბ მოწაფეთა შემდეგ თბილისის გუბერნიის თავდაზნაურთა საზოგადოების წევრთა კრება. ეს არის გაგრძელება წარსული კვირის კრებისა. კრებას მრავალი საყურადღებო საკითხი აქვს განსახილვა-განსაწვევტი.

წარმოდგენა. დღეს საღამოს სახალხო სახლში სცენის მოყვარეთა მიერ კ. შათირიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნება: ცნობილი პიესა „ქრისტინე“. ადგილების ფასი სახალხოა.

თბილისის გუბერნიის დაყოფა რაიონებად. თანახმად სამიწათმოქმედო დეპარტამენტისა, თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა თბილისის გუბერნია დაყო რამდენიმე რაიონად. თითო რაიონში შედის ის სოფლები, რომლებშიაც ერთნაირი ჯიშის ვაზები და ერთგვარი ტიპის ღვინო დგება. კახეთი გაყოფილია 7 რაიონად: ალაზნის ვალმა მხრისა, კარდანახისა, გურჯაან-წინანდლისა, ახმეტისა, მელანისა და მარტყოფისა; ბორჩალოს მარშის რაიონად გაიყო: შულავისა, რატეანისა და ასურეთისა; ქართლი 6 რაიონადაა გაყოფილი: საგურამოსა, ქსან-კასპისა, ცხინვალ-მეჯვრისხევისა, სურამ-ფრონისა, ატენ-ხიდისთავისა და ახალქალაქისა. ყველა რაიონში კომიტეტმა უნდა მოაგროვოს ღვინის ქაშნიკი ცალ-ცალკე სხვა და სხვა ვაზისა. ამ ქაშნიკს ქიმიურ-ანალიზს გაუკეთებენ. ამ როგად კომიტეტს ექნება სახელმძღვანელო ამა თუ იმ რაიონის ღვინის გამოსაცდელად.

კავკასიის მთავარმა კომიტეტმა დაადგინა 4 ივნისს გადასდოს 15 მანეთი დავრდომილ ჯარის კაცთა დასახმარებლად.

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებას შესწირა სეირნობისათვის ტრესტერის სავაჭრო სახლმა 3 ოზმა საწერი ქალაქი 100 რეველი და 3 შეკრა კანვერტი.

გადადებ სენით ავადმყოფთაშვის ქალაქების კავშირმა 4 ივნისს ნავთლულში გახსნა ბარაკი 500 საწოლით. საჭირო თუ დარჩა, შემდეგ კიდევ მოუმატებენ 500 საწოლს.

პეტროგრადის ქართველი საზოგად. პროტესტი

ნათიკვა ვეკილომა დ. ქაბრიშვილიმა პეტროგრადის ქართველი საზოგადოების და თავის სახელით შემდეგი საპროტესტო წერილი გაუგზავნა ომიანობისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომიტეტის „რუსეთი—დარბეულ განაპირა ქვეყნებს“ თავმჯდომარეს ა. ნ. ნეიდჰარტს: კომიტეტმა „რუსეთი—დარბეულ განაპირა ქვეყნებს“ 29, 30 და 31 მაისს ყულაბებით ფულის მოგროვების დროს გამოცემულს მოწოდებაში, ავიწყრა რა დიდებული ომი, ფიზიკურ და ზნეობრივ ძალთა მსხვერპლი, ჩამოსაფლავა რუსეთის იმპერიის ყველა ის ერები, რომელნიც ხელიხელ ჩაკიდულნი იბრძვიან, იტანენ მტრის შემოსევას, ყველანი ერთისათვის და ერთი ყველასათვის. რუსები, პოლონელები, ლიტველები, ლატვიები, ებრაელები, სომხები და თათრები—თავიანთის მკერდით ბურჯად დგანან რუსეთის სიღაღისა და ძლიერების დასაცავად უფლებებისა და სიმარლისათვის ბრძოლაში“. რა უყავით, ბ. ნოავექსონო მოწოდებას, მრავალი ათი ათასი ქართველი, რომელთა სიცოცხლე შესწირეს რუსეთის დიდებული მოპაველისათვის. შემდეგ, ბ. ავქსონი მოწოდებისა,

მოუკიდებლად საქართველოს შვილთა უხვად დაღვრილი სისხლის წინაშე, რუსეთში მოსახლე ყველა ერებს სთვლის მშებად სულით, კულტურით, ყველას შემავრთებელი რუსეთისადმი სიყვარულით.

ნება მიბოძეთ გკითხოთ ბ. ავქსონო მოწოდებისა; რად იხებეთ და არ ჩასთვალეთ ქართველები ღირსად სხვა ერთა ძმები ყოფილიყვნენ სულით, კულტურით და რუსეთისადმი სიყვარულით.

თუ ყოველივე ეს რაიმე გაუგებრობის მიზეზით ჩაიდინეთ, მაშინ ეს გაუგებრობა ახირებულად უნდა ჩაითვალოს საზოგადოდ, ხოლო საწყენად ჩვენთვის — ქართველებისათვის, რადგან უნდა იცოდეთ, რომ არ არის არც ერთი ნაქერი საომარი მოქმედების ასპარეზისა, სადაც არ დაღვრილიყოს ქართველის სისხლი „რუსეთის დიდების დასაცავად უფლებისა და სიმართლისათვის ბრძოლაში“.

თუ ეს უცოდინარობით მოხდა, მაშინ ჯერ გაიგეთ, წაიკითხეთ ხოლმე და მერე აღგინეთ მოწოდებები.

წინადადებას გაძლევთ ვადაშალოთ ისტორია რუსეთის ომებისა, რომელ ხალხთანაც ვენებავთ, 1801 წლიდან მოკიდებული და თქვენ იქ ხახვთ სისხლის ასევე მოლაპარაკეთ იმის შესახებ, რომ ქართველების რაზმები მდებარე იმპერატორის წინააღმდეგ რუსის მეომრებთან „ხელი-ხელ ჩაკიდებულნი“ და რუსეთის ლაშქარი იყო და არის სავსე ქართველი ავიტრებთა.

ჩვენ შეიძლება გვითხრან, რომ კომიტეტმა მხოლოდ ის ერები მოიხსენია, რომელნიც მტრის შემოსევით დაზარალდა.

ამის გამო პატარა წინადადებას ვიძლევით: მიზანდარბი, ნახეთ, რა ხდება ამიერ-კავკასიაში.

ან იქნება როდესაც ბ. ავქსონი ამერ-კავკასიაზე ლაპარაკობს, მხედველობაში მხოლოდ სომხები ჰყავს. თუმცა ადგილი არ არის და არც დროა მოწოდების ავტორის სწავლებისა, მაინც ვიტყვი, რომ მე შეიძლება საუკუნედან მოკიდებული, ქრ. დაბადებამდე, 1801 წლამდე ამიერ-კავკასია ეკუთვნოდა ქართველებს. და სომხები იყვნენ და არიან ჩანართი ელემენტი და სხვა არაფერი.

როდესაც დიდებულს საქმეს აკეთებთ — საქმეს მაშვრალთა დახმარებისა, არ შეიძლება შეურაცხყოფა იმ ერისა, რომელმაც მოიცა არა მარტო სამხედრო ბეგარით ვალდებული მეომრები, არამედ მოხალისენიც, რომელთაც ცალკე რაზმები შეადგინეს.

ვერ გავიანთებთ თავს, ბ. ავქსონო, ვერც გაუგებრობით, ვერც უცოდინარობით — ხოლო თუ სხვა რამ საუფუძველი გაქვთ, ყველა ამის დაფასებას თქვენ განდობთ, ბ. ავქსონო.

ლიყო, ყველა ომშია. სათესლე სიმინდი ჩვენ არ გვექონია, ამიტომ საყანე მიწების დიდი წილი დაუთესავი დარჩა; ვინც დათესა, ამოსული სიმინდი მკრეღმა ჰქონდა განადგურა. ვენახები უღროვო სიცივემ გააფუჭა. ამ რიგად, კარგს არც მომავალი წელიც გვიქვამის. შიმშილით ვიხოცებით, ჩვენი პატრონი არავინ არის. — წარმომადგენლებმა სთხოვეს დეპუტატს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა მან (მთავრობამ) იქსპროს: სიმინდის სესხით მიცემა, სახელმწიფო გადასახადების ვადის გაგრძელება, ახლად დაწყებული საავთმყოფოს შენობის ხაზინის ფულით დასრულება (ესასხრობის გამო შენობის კეთება შეჩერებულია), უმაღლესი ტიპის პირველდარწიებითი სასწავლებლის სახელმწიფო ხარჯით გახსნა, სადგურ საავტომობილო ოზონოფერამენტის გზის გაყვანა და დაბად ვალდებულება (თუმცა ჩონხატურს დაბას უწოდებენ, მაგრამ მას დაბის უფლება არა აქვს).

ზუგდიდი. დეპუტატი ჩვენკელი 30 მაისს ზუგდიდში ჩამოვიდა შიმშილობის საკითხის გამოსარკვევად.

გაიგეს თუ არა დეპუტატის ჩამოსვლა, რ ივნისის საზოგადოების წარმომადგენელნი გამოცხადდნენ: ზუგდიდისა, ყულოკარისა, ხიბულისა, კორცხელისა, ხორგისა და კოკისა.

ზოგიერთ საზოგადოებას ადგილობრივი სასურსათო თანხიდანაც არ მიუღია სესხი, უმრავლესობას კი საიმპერიო თანხიდან. ზოგ საზოგადოებას კი ადგილობრივი სასურსათო თანხის ნაწილი მიუღიათ მხოლოდ. (მაგ., კორცხელის სთხოვეს დეპუტატს: მიიღოს ზომები, რომ ყველა საზოგადოებას დაურიგდეს ადგილობრივი სასურსათო თანხა და თუ საკმაო არ იქნება, საიმპერიო თანხიდან სესხი სიმინდისათვის ღრავ შეიძლება დახმარება უნდა დაქარბდეს. განუცხადეს აგრეთვე, რომ მთავრობის მიერ ნავარაუდები, სულზე ერთი ფული სიმინდი, მცირეა და მის მივითვ ორი ფული გადაიღოს თვეში. ითხოვეს სასურსათო დახმარების ვადის გაგრძელება 1-ლ ოქტომბრამდე, ე. ი. ქირახელის მოწვევამდე.

29 მაისს ჩვენკელი ს. ნაქალაქებს ეწვია. მას შეხვდა სოფლის ხალხი, განსაკუთრებით გლეხობა, და აუხსენს თავინათი აუტანელი მდგომარეობა. ხალხმა აუხსნა მას, თუ რა პირობებში არიან ისინი შიმშილობის გამო და სთხოვა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა დაქარბებით იქმნას სიმინდი გამოგზავნილი. დეპუტატი გაეცნო იმას თუ რამდენი მიწა დარჩა დაუთესელი სათესლეს უქონლობის მიზეზით, როგორი პირობები წარმოადგენს მოსავლს და სხ. გამოიკვია, რომ დაუთესავი მიწა ცოტაა დარჩენილი. მოსავლის შესახებ მოახსენეს, რომ ჯერჯერობით ცუდი პირობები უნდა, ხალხმა სთხოვა მას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა სახაზინო გადასახადი დროებით შეჩერდეს. სანოვანის სიძვირის გამო იღონონ რამე. ჩვენკელმა აუხსნა ხალხს, თუ რა მდგომარეობაშია დღეს რეინის გზები ომის გამო და როგორ ძნელი საზოგადო ვაგონები საქონლის გადასატანად. სიძვირის შესახებ მან სთქვა: დაიარსეთ კოოპერატივები და ხელი შეუწყვეთ მის წინმსვლელობასო, მეც ვსთხოვ მთავრობას ხელი არ შევიშალონ და დაეხმარონ. „თ. ა.ზ.“

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ გახუთში ადგილი დაუთმოთ ჩემს საპასუხო წერილს, რომელიც გამოუწვეულია ბ-ნ „შინაურის“ წერილით.

პატივისცემით თ-ნი მ. დ. ქავჭავაძე.

ჩემი პასუხი, „სახ. ფურცლის“ გუშინ-წინდელ ნომერში დაბეჭდილი ბ-ნ შინაურის ცნობის გასაბათილებლათ, ვითომ „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს უარი უთქვამს წ. ქ. გამავრც. საზოგადოების გამგეობისათვის ბალის დათმობაზე, ბ-ნ შინაურს ძალიანა სწყენია და საკითხი უსაზღვროდ გაუფართოვებია. „შინაური“ იქამდისაც მისულა, რომ ჩემს ზნეობრივ-საზოგადოებრივ მდგომარეობასაც შეეხო და ვესვლიანდ მეკამათება: „კლუბის მოღვაწეებს და მათ თავმჯდომარეს თ-ლ ქავჭავაძეს არა მგონია ისეთი მნიშვნელობა ჰქონდეთ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომ

მათი საქციელის გამო ღირსეული ავსტუხობთ, ვინაშე ვიღუპებითო. იქნებოთ თეით ქავჭავაძეს ჰგონია, რომ საქართველოს ცხოვრების ღირსი კლუბის გარშემო ტრიალებს“. მამასახლისებმა თეითონ იციან რა პასუხი უნდა მისცენ ბ-ნ „შინაურს“ ასეთი არასაკდრის ფანდელი ხმაურებისთვის, ხოლო პირადლ მე უნდა მოვახსენო ბ-ნ „შინაურს“, რომ ჯერ მე არავინ გამიბრუნებია არც სიტყვით და არც წერილობით ჩემი მოღვაწეობის მნიშვნელობის შესახებ. გარდა ამისა, მე ვთხოვთ, ბ-ნ „შინაური“, ნილაბი აიხადოთ, წარმოსდგეთ საზოგადოების წინაშე და მაშინ მოვახსენებთ თამამად, რომ მე არც წარსულში და არც ესხე საზოგადოებრივ მნიშვნელობის ყოფიქცევით თქვენისთანა „მოღვაწეების“ ხელის გასაკრავი არ ვახლავართ. გეთანხმებით, საქართველოს ღირსი თქვენს გარშემო ტრიალებს, ბურჯინი საქართველოსი თქვენა ბრძანდებით, — აბა ისეთი პატარა დაწესებულება, როგორც „ახალი კლუბი“, როგორ გაკადნიერდებოდა და აქისრებდა ასეთი მძიმე ტვირთის აწვევას და ტარებას.

მე მგონია, შინაური ჩვენი წერილისა წ. ქ. გამგეობისადმი ისე უნდა გაეგო გამგეობასაც, როგორც ჩვენ გვესმოდა, ე. ი., სეზონის ბოლოს ბალის დათმობის მითითება იმითომ ვსცანიოთ საქოროდ, რომ ამ დროს სოფელ-გარაკებიდან ხალხი ქალაქში მოდის და, მამასახლამე, სეირნობაც უფრო ნაყოფიერი იქნებოდა თეით საზოგადოებისთვის. თუმცა უარი არ თქმულა, მაგრამ კიდევ რომ დაგვეთხო, „შუა ზაფხულში კლუბის საზაფხულო განყოფილებას და საზოგადოებას გაემართა სეირნობა, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სეირნობა ისეთი ნაყოფიერი არ იქნებოდა, როგორც სეზონის დასასრულს. ასე გვესმოდა ჩვენ ჩვენი პასუხი საზოგადოების გამგეობისადმი და მგონი საზოგადო. გამგეობამაც ასე გაიგო, მხოლოდ ბ. „შინაურს“ ასე არ უნდოდა გაეგო და კიდევაც იმითომ ასტეხა ასეთი უცნაური განცხადება. რაც შეეხება ბ-ნ ი. ნ. რატივილს და მის ერთხელ ვაშაგებას უნდა მოვახსენოთ რომ პირველ არჩევნების ამბავი ბ-ნ შინაურს სწორით არ აქვს მოყვანილი. რატივილი არავის არ გაუშვებია. მას უცნობმა ამრჩეველმა ერთი კენჭის ნაცვლად სა-არჩევნო ყუთში ერთი შავი კენჭი ჩაუგდო, რასაც თ-ნი თქმა უნდა, შედეგად ვაშაგებდა უნდა მოეყოლა. ამ გარემოებას გამოიწვია შემდეგ კრებაზე სიმართლის აღდგენის სურვილი, კრებამ მოითხოვა ყუთის დადგმა მეორედ და ბ-ნი რატივილი ამორჩეულ იქნა.

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ „შინაური“ შენიშვნა არჩევნების შესახებ თ-ლ მ. დ. ქავჭავაძეს სრულიად არ შეეხება, რადგან არჩევნების დროს თ-ლი ქავჭავაძე თბილისში არ იყო, და რა კი ამორჩეულ იქნა, საზოგადოების ასეთს განაჩენს იმდენად პატივსაცემს იგი, რომ საქმიანობას და მუშაობას თავს არ დაანებებს, გინდა ერთმა შინაურმა კი არა, ათასმაც რომ უსაფუძვლოდ კებნა დაუწყოს. მე მგონია, რომ ასევე უნდა მოიქცეს ყველა საქმის მოყვარული კაცი. განმეორებით ვსთხოვ ბ-ნ „შინაურს“, რადგანაც მე იგი კერძოდ, როგორც ქავჭავაძეს მისხენიებს, თავის ვინაობაც გამოაცხადოს და შემატყობინოს ვისთან მიქვს საქმე, რადგანაც ნილაბ აფარებულ მოწინააღმდეგესთან სასიამოვნო არ არის დროს დაკარგვა ასეთ კინკლაობასა და მიწერ-მოწერაში.

თ-ლი მ. დ. ქავჭავაძე.

რედაქტორ-გამომცემელი

სადარო შანთაშვილი

მავანდა თბილისის ბაზარზე	
4 თიბათვეს	
ბალი	3 მ. 50 კ.
ალუბალი	4 მ.
ატამი	4 მ.
ტყემალი	2 მ. 50 კ.
მსხალი	2 მ. 20 კ.
კიტრი 100 ც	8 მ.
კომბოსტო	1 მ. 20 კ.
ლობიო უბრალო	3 მ.
ლობიო გურული	5 მ.
5 თიბათვეს	
ბალი	3 მ.
ალუბალი	4 მ.
ატამი	6 მ.
ტყემალი	2 მ. 40 კ.

კახეთის რეინის გზის მიმოსვლა
(დრო ადგილობრივ საათით არის)
ნაჩვენები

თბილისიდან ვადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან ვადის:	
თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთლულ-ამიერ-კავ.	8 „ 40 „ „
ნავთლულ-კახეთ.	8 „ 58 „ „
ვაზიანიდან	10 „ 06 „ „
ივრიდან	21 „ 15 „ „
საგარეჯოდან	11 „ 58 „ „
ბაღდადიდან	12 „ 56 „ „
მელაიდან	2 ს. 16 წ. სალ.
გურჯაანიდან	3 „ 37 „ „
კარდენახიდან	4 „ 12 „ „
წნორის-წყალზე	4 „ 44 „ „

გურჯაანიდან-თელავამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ. სალ.
ვანაძიანიდან	4 „ 33 „ „
თელავში	5 „ 27 „ „

თბილისისკენ მოდის:

წნორის-წყლიდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდენახიდან	9 „ 41 „ „
გურჯაანიდან	10 „ 24 „ „
მელაიანიდან	11 „ 39 „ „
ბაღდადიდან	12 „ 59 „ დლ.
საგარეჯოდან	2 „ 80 „ „
ივრიდან	2 „ 50 „ „
ვაზიანიდან	3 „ 55 „ „

ნავთლულ-კახეთი 58 „ „
ნავთლულ-ამიერ-კავ. 13 „ „
თბილისიდან 28 „ „
თელავიდან 8 ს. 54 წ. დილ.
ვანაძიანიდან 9 „ 25 „ „
გურჯაანში 10 „ 07 „ „

ამიერ-კავკასიის რეინის გზის მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისში მოდის:

№ 3 ბაქოდან	12 ს. 54 წ. დლ.
№ 4 ბათომიდან	5 ს. 55 წ. სალ.
№ 5 ბაქოდან (სწრაფი)	7 ს. 41 წ. სალ.
№ 10 ბათომიდან	9 ს. 51 წ. დილ.
ჯულფიდან	6 ს. 53 წ. დილ.
ბორჯომიდან	7 ს. 25 წ. დილ.

თბილისიდან ვადის:

№ 3 ბათომისკენ	1 ს. 45 წ. დლ.
№ 4 ბაქოსკენ	7 ს. 3 წ. სალ.
№ 6 ბაქოს (სწრაფი)	12 ს. 8 წ. დლ.
№ 9 ბათომისკენ	8 ს. 53 წ. სალ.
ჯულფისკენ	10 ს. 23 წ. სალ.
ბორჯომისკენ	3 ს. 29 წ. დლ.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა.
25-12

საკომისიო კანგორა

ი. ტ. გვათუასი
თბილისი, ვერის დაღმართი, № 1. ტელეფ. 17-05
კამისტრატია თავისუფალ ბინისა; გადაწერა და სწავლა საწერ მაშინაზე-მიჯნა ცნობისა ყოველგვარ დაწესებულებიდან; შუამავლობა უძრავ ქონების ყიდვა-გაყიდვისა, დაგირავებისა და იჯარით გასაცემად; კისრულობით ყოველგვარ საკომისიო საქმეს ქალაქელთა და ქალაქ გარეშელთაგან.
მოდლობილბას სწრაფად და პირნათლად ვასრულებთ. (8-6-5)

წიგნის მაღაზია
„ახალი სიტყვა“
(„НОВАЯ РЪЧЬ“.)
თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6-23.
გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას; საზოგადოს, სეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.
განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენევი მივიტანოთ სახლში. (წ.—10)

ქეხი ლეთა აქხანაგობა
„ქ ა კ თ ლ ი“
„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიან შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

თავის მკურნალობა
გ.მ. გეგელოვანი
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლბარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგდის საკუთარ და საავტოო სახლ. „ლ. მაილოვის-შვიტი“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილადა, მცირე მარლიანი, შავი „მეშინი“ ხიზილადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკერის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთისა და სოფელ-გარეთის დერმენტისა ხანგრძლივ ინახება.

ყოველდღიური საკომისიო, სამედიცინო და სალიბრატორო ბაზაში
თანაველოვა აზრი
გაზეთი ღირს: მთელი წლით—7 მან., ნახევარი წლით—4 მან., 3 თვით—2 მ. 50 კ. ერთი თვი თბილისში—80 კაპ., თბილისის გარეთ—90 კაპ.
ხელის მოწვევებზე ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგვავნონ: Тифлис, поч. ящ. 199; Евгению Илларионовичу Урушадзе. სხვა ადრესით გამოგვავნო ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. წერილები კი უნდა გამოგვავნონ შემდეგი ადრესით: Тифлис, „Танамедрове Азри“, почтов. ящ. 199.
კანტორის ადრესი: თბილისი, ბარონის ქუჩა, № 15.

მიიღება ხელის მოწერა
1915 წ. ენკენისთვიდან გამოვა სალიბრატორო, სამეცნიერო და საპოლიტიკო თვიური ჟურნალი
„ახალი მოაზრება“
შანი: წლიურად—10 მან., ნახევარი წლით—6 მან., ხოლო ამა წლის ენკენის-თვიდან ქრისტეშობისთვის გასვლამდე—4 მან.
მისამართი: Тифлис, ред. груз. журн. „Ахали Моაზრა“ Ив. Сп. Элиашвили.
რედაქტორ-გამომცემელი ნინო ბუე. ყიფიანისა